

ქ. დუშეთი

20 მარტი 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი თანიაშვილი - მერის პირველი მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ზაქარია ხეხელაშვილი - მერის მოადგილე.

კომისიის წევრები:

მარიამ ზაქაიძე – მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ვლადიმერ კობაიძე - ინფრასტრუქტურის განვითარების, რეაბილიტაციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ლაშა სალბიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

იოსებ ღარიბაშვილი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

სატენდერო კომისიის აპარატი:

ირმა ჩოხელი - შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:

დავით შაბურიშვილი- საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურის ერთეულის ხელმძღვანელი;

ზურაბ ყაჭიური - ქონების მართვის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ვალოდია პაპუკაშვილი - შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:

ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე საშუალებით, ქ. დუშეთში, სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის სამუშაოების მიზნით, სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცების შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 253 002,00 (ორას ორმოცდაცამეტი ათას ორი) ლარი.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრის მარიამ ზაქაიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე საშუალებით ქ. დუშეთში, სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტი.



სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 253 002,00 (ორას ორმოცდაცამეტი ათას ორი) ლარი.

დადგინეს:





- 1) დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი (ტენდერი გამოცხადდეს დღგ-ს გათვალისწინებით);
- 2) სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში: <https://tenders.procurement.gov.ge>

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:


სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

 /გ. თანიაშვილი/  
 /ზ. ხეხელაშვილი/

კომისიის წევრები:

 /მ. ზაქაიძე/  
 /ი. ღარიბაშვილი/  
 /ლ. სალბიძე/  
 /ვ. კობაიძე/

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

 /ი. როხელი/